

პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის სამართლებრივი
მოწესრიგება ქართული და ევროპული სტანდარტების მიხედვით

ოსები ლაფანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამართლის სკოლა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ გოშაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თარიღი 20.06.2018

სარჩევი

შესავალი	9
თავი I. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგადი ასპექტები	11
1.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა, პრინციპები და საზოგადოებრივი დანიშნულება.....	11
1.2 პერსონალურ მონაცემთა დაცვა, როგორც ძირითადი უფლება	17
1.3 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ისტორიული განვითარება	20
1.4 პერსონალური მონაცემთა დაცვის მოწესრიგება საქართველოში	21
1.5 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული მოდელი	23
თავი II. პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის სამართლებრივი მოწესიგება.	26
2.1 პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის ცნება, მიზნები, მნიშვნელობა და აქტუალობა თანამედროვე ეპოქაში	26
2.2 პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის მოწესრიგება საქართველოში	27
2.3 უსაფრთხოების ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების იმპლემენტირება საერთაშორისო გადაცემისას	30
2.4 დრუბლოვანი („ქლაუდ“) სისტემები და მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა	31
2.5 ინსპექტორის ზედამხედველობა საერთაშორისო გადაცემის კონტექსტში და დაცვის ადეკვატური დონის მქონე ქვეყნები.	32
2.6 პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის მოწესრიგება ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის ფარგლებში	33
2.7. სახელშეკრულებო პირობები ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის წევრი ქვეყნებისათვის	39
დასკვნა.....	41
ბიბლიოგრაფია	45

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში, წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის მოწესრიგება ქართული და ევროპული სტანდარტების მიხედვით. ნაშრომში აღწერილი და გაანალიზებულია ის რეგულაციები, რომლის საფუძველზეც საქართველო, ევროპის საბჭო და ევროპის კავშირი ახდენენ პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის რეგულირებას.

გარდა ამისა, ნაშრომში მიმოხილულია ისეთი საკითხები როგორცაა: პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა, პრინციპები და საზოგადოებრივი დანიშნულება, პერსონალურ მონაცემთა საკვანძო სამართლებრივი დებულებები(პრინციპები), პერსონალურ მონაცემთა განსაკუთრებული (სპეციალური) კატეგორიები ქართული და ევროპული კანონმდებლობის მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, როგორც ძირითადი უფლება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ისტორიული განვითარება, პერსონალური მონაცემთა დაცვის მოწესრიგება საქართველოში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული მოდელი(ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ფარგლებში), პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის ცნება, მიზნები, მნიშვნელობა და აქტუალობა თანამედროვე ეპოქაში, უსაფრთხოების ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების იმპლემენტირება საერთაშორისო გადაცემისას, ღრუბლოვანი („ქლაუდ“) სისტემები და მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა, ინსპექტორის ზედამხედველობა საერთაშორისო გადაცემის კონტექსტში, ევროპული კანონმდებლობა მესამე ქვეყნებისათვის მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის თაობაზე და დაცვის ადეკვატური დონის მქონე ქვეყნები და სახელშეკრულებო პირობები ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის წევრი ქვეყნებისათვის.

ნაშრომის მეთოდოლოგია ეფუძნება შედარებითი სამართლის კონცეფციას. აღნიშნული მეთოდის საშუალებით, ხდება ქართული და ევროპული (ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის) სამართლის იმ რეგულაციების შედარება, რომლის საფუძველზეც ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა.

სამაგისტო ნაშრომის შედეგების ანალიზის დროს, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები, კერძოდ:

➤ პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის ძირითადი პრინციპები აღიარებულია როგორც ქართულ, ისე ევროპული სამართალში;

➤ ქართული და ევროპის კავშირის სამართლის რეგულაციები მესამე ქვეყნებში მონაცემთა გადაცემის დროს გარკვეულწილად განსხვავებულია;

➤ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, მესამე ქვეყნებში მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის დროს, ევროპის კავშირის ქვეყნების მონაცემთა გადაცემის საზედამხედველო ორგანოებისაგან განსხვავებით, მონაცემთა დაცვის ადეკვატურობის დადგენისას ხელმძღვანელობს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოყენებული შეფასების შესაბამისად.

➤ ღრუბლოვანი („ქლაუდ“) სისტემები წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას, ვინაიდან ამ სისტემების საშუალებით რეალურად ხორციელდება მონაცემთა საერთაშორისო გადაცემა ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც შესაძლოა არ მიიჩნეოდნენ მონაცემთა დაცვის ადეკვატური დონის მქონე ქვეყნებად.

რაც შეეხება, ნაშრომის შედეგების მნიშვნელობის ასპექტს ცალსახაა, რომ ნაშრომი, რომელიც შეეხება პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო გადაცემას, ძალზედ აქტუალური და რელევანტურია. გარდა ამისა, საკითხს განსაკუთრებით მნიშვნელობას სძენს ის გარემოება, რომ საქართველო ევროპის კავშირთან დაახლოების კუთხით ვალდებულია შიდასამართლებრივი რეგულაციების ჰარმონიზაცია მოახდინოს ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან. შესაბამისად, ქართული და ევროპული კანონმდებლობის ანალიზი მნიშვნელოვანია იმ მსგავსებებისა და განსხვავებების საილუსტრაციოდ, რაც მათ შორის არსებობს.

ABSTRACT

In the aforementioned thesis it is provided trans-border data flow regulation according Georgian and European standards. The paper describes and analyzes the regulations on the basis of which Georgia, the Council of Europe and the European Union regulate the transferring of corresponding personal data within and beyond.

In addition, the paper reviews the topics which can be read as follows: the importance of personal data protection, principles and public purpose, key legal provisions of personal data characteristics (specialties), special (special) categories of personal data according to Georgian and European legislation, protection of personal data as basic human right category, personal data protection through historical development, personal data protection regulation in Georgia, European model of the Personal Data Protection (to the extent the Council of Europe and the European Union), the matter of the trans-border flow of data flow, objectives, importance and actuality of the modern era, implementation of safety, technical and organizational measures during international transfer, cloud ("Cloud") systems and international data transfer, supervision by the inspector in the context of international transfer, the European legislation for international data transfer to third countries and the countries with adequate protection level and contractual conditions of the countries affiliated with Council of Europe and European Union .

The methodology of the work is based on the concept of comparative law research endeavours. . By means of this method, the comparing approach is taken for Georgian and European the regulations (Council of Europe and the European Union), on the basis of which the international data transfer is carried out.

During the analysis of the results of the thesis, the following circumstances were identified:

- The basic principles of international data transfer are recognized in both Georgian and European law;
- The Georgian and European Union law regulations are somewhat different in regard of data transmission regulations in third countries;
- During international transferring data flow in third countries, Georgian personal data protection inspector in different with the supervisory boards of transferring data flow of EU countries is guided within the scope discretionary power while assessing in the determination of data protection adequacy.

- The most challenging issue can be viewed as Cloud systems, because of by elaborating Clouds (Clouds) systems are used for transferring international data flow in countries that might not be considered as countries with adequate data protection.

As for the aspect of the outcome of the paper, it is clear that the paper, which is related to the international data transmission is very relevant and issues at stake. In addition, the matter is of particular importance that Georgia is committed to harmonization of domestic regulations with the European Union legislation in terms of approximation with the European Union primary and secondary legislation. Consequently, analysis of Georgian and European legislation is important to illustrate similarities and differences between them.

მადლობა

მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს ბატონ კახაბერ გოშაძეს. სწორედ მისი რჩევით მივიღე გადაწყვეტილება დამეწყო მუშაობა აღნიშნულ საკითხზე. მადლობა მას, ყველა იმ რჩევისა და შესაბამისი ლიტერატურის მოძიებაში დახმარებისათვის, რომელიც ნაშრომის შედგენის პროცესში მნიშვნელოვნად დამეხმარა.